# სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი"

***საქმიანობის ანგარიში, 2010 წელი***

# საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

- საბალანსო ელექტროენერგიით ვაჭრობა
- სიმძლავრის სასისტემო რეზერვით ვაჭრობა
  - გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობა (2010 წლის 1 სექტემბრიდან)
- ელექტროენერგიის იმპორტ-ექსპორტი
- აღრიცხვის კონტროლი

# საბალანსო ელექტროენერგიით ვაჭრობა

- საბალანსო ელექტროენერგიით ვაჭრობა ესკოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად რჩება.
- 2010 წელს საბალანსო ელექტროენერგიის წილმა საბითუმო ვაჭრობაში შეადგინა - 14.4%



# საბალანსო ელექტროენერგიის მომწოდებლები

2010 წელს ესკო-ს მიერ შესყიდული საბალანსო ელექტროენერგია შედგება თბოელექტროსადგურების, ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული და ესკო-ს მიერ იმპორტირებული ელექტროენერგიისაგან, რომელთა წილობრივი მონაწილეობა, თვეების მიხედვით, მოცემულია გრაფიკზე.




| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| იმპორტიორი (ესკო) | 2.89 | .91 | 15.23 | - | .56 | 2.94 | 4.28 | 1.56 | 9.21 | 44.68 | 61.98 | 67.60 |
| თბოელექტროსადგური | 81.80 | 97.74 | 1.46 | .12 | .11 | 4.10 | 1.55 | 3.67 | 48.92 | 52.12 | 43.92 | 66.29 |
| ჰიდროელექტროსადგური | 45.70 | 56.06 | 87.74 | 54.45 | 74.60 | 51.63 | 64.42 | 76.11 | 106.01 | 37.42 | 70.17 | 96.68 |

# ელექტროენერგიის მომწოდებლების მონაწილეობა საბალანსო ელექტროენერგიის ფორმირებაში

| ელექტროენერგიის გამყიდველები | 2010 წელი | |
|---|---|---|
| | კვტ.სთ | წილი, % |
| ჰიდროელექტროსადგური | 820 989 580.39 | 57.23% |
| თბოელექტროსადგური | 401 817 198.09 | 28.01% |
| იმპორტიორი (ესკო) | 211 821 489.00 | 14.76% |
| ჯამი | 1 434 628 267.48 | 100.00% |



# საბალანსო ელექტროენერგიის მყიდველები

2010 წელს საბალანსო ელექტროენერგიის მყიდველები ძირითადად იყვნენ გამანაწილებელი ენერგოკომპანიები და პირდაპირი მომხმარებლები. საბალანსო ელექტროენერგიის მყიდველების წილობრივი მონაწილეობა, თვეების მიხედვით, მოცემულია გრაფიკზე.




| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ექსპორტიორი | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | .05 | - |
| განაწილების ლიცენზიატი | 72.87 | 100.04 | 52.32 | 12.09 | 41.04 | 25.79 | 17.64 | 29.26 | 64.80 | 65.28 | 75.67 | 133.05 |
| პირდაპირი მომხმარებელი | 57.51 | 54.67 | 52.11 | 42.49 | 34.24 | 32.88 | 52.61 | 52.08 | 99.34 | 68.93 | 100.35 | 97.52 |

# კვალიფიციური საწარმოების მონაწილეობა საბალანსო ელექტროენერგიის შესყიდვაში

| ელექტროენერგიის მყიდველები | 2010 წელი | |
|---|---|---|
| | კვტ.სთ | წილი, % |
| პირდაპირი მომხმარებელი | 744 727 880.19 | 51.911% |
| განაწილების ლიცენზიატი | 689 848 827.02 | 48.086% |
| ექსპორტიორი | 51 560.17 | 0.004% |
| ჯამი | 1 434 628 267.38 | 100.00% |



# გასაყიდი საბალანსო ელექტროენერგიის ფასის ფორმირება

გასაყიდი საბალანსო ელექტროენერგიის ფასის ფორმირება ხდება ესკოს მიერ შესყიდული საბალანსო ელექტროენერგიის ***საშუალო შეწონილი ფასით***



# მცირე სიმძლავრის დერეგულირებული ელექტროსადგურების საბალანსო ელექტროენერგიის ფასი

მცირე სიმძლავრის დერეგულირებული ელექტროსადგურებისაგან ესკო საბალანსო ელექტროენერგიას შეისყიდის:

- *სექტემბრიდან-მაისამდე პერიოდში – იმავე საანგარიშო პერიოდში ესკოზე გაყიდული საბალანსო ელექტროენერგიის ყველაზე მაღალი ტარიფით;*
- *მაისიდან-სექტემბრამდე პერიოდში –წარმოების ყველაზე დაბალი ტარიფის მქონე მარეგულირებელი ელექტროსადგურის ტარიფით (1.17 თეთრი/კვტ.სთ);*



# საბალანსო ელექტროენერგიის ღირებულების გადახდის მაჩვენებელი

- 2010 წელს ესკო-ს მიერ საბალანსო ელექტროენერგიის მომწოდებლებზე გადახდილ იქნა 85 964 293.91 ლარი, რაც მთლიანი დარიცხვის (პერიოდის დასაწყისში არსებული ნაშთის გათვალისწინებით) 99.06%-ია.

- 2010 წელს ესკო-დან შესყიდულ საბალანსო ელექტროენერგიაზე კვალიფიციური საწარმოების მიერ გადახდილ იქნა 91 912 350.70 ლარი (დღგ-ს ჩათვლით), რაც დარიცხული თანხის (პერიოდის დასაწყისში არსებული ნაშთის გათვალისწინებით) 99.5%-ია.

# სიმძლავრის სასისტემო რეზერვით უზრუნველყოფა

- 2010 წლის 1 სექტემბრამდე ენერგეტიკული სექტორის სიმძლავრის სასისტემო რეზერვით უზრუნველყოფა სრულად ხდებოდა ესკოს მეშვეობით

- სიმძლავრის სასისტემო რეზერვის წყაროებს წარმოადგენდა წარმოების სამი ლიცენზიატი (თბოსადგური):
  - სს „ენერჯი ინვესტი“
  - სს „თბილსრესი“
  - შპს „მტკვარი ენერგეტიკა“

- სიმძლავრის სასისტემო რეზერვის შემსყიდველებს წარმოადგენდა განაწილების ლიცენზიატები, პირდაპირი მომხმარებლები და ექსპორტიორები

# სიმძლავრის სასისტემო რეზერვის გაყიდვის მაჩვენებლები

2010 წლის აგვისტოს თვის ჩათვლით სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ მეშვეობით გაყიდული სიმძლავრის სასისტემო რეზერვის რაოდენობამ 1 456 345 231 კვტ.სთ შეადგინა, ღირებულებით – 35 132 009 ლარი;

| პერიოდი | სს „ენერჯი ინვესტი“ | | სს „თბილსრესი“ | | შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეზერვი (მლნ.კვტ.სთ) | დარიცხვა (მლნ.ლარი) | რეზერვი (მლნ.კვტ.სთ) | დარიცხვა (მლნ.ლარი) | რეზერვი (მლნ.კვტ.სთ) | დარიცხვა (მლნ.ლარი) |
| 01.2010-08.2010 | 571.264 | 20.851 | 498.201 | 8.091 | 386.880 | 6.190 |

# სიმძლავრის სასისტემო რეზერვის წილი მოხმარებასთან მიმართებაში

ქვემოთ მოყვანილ გრაფიკზე ნაჩვენებია 2010 წლის იანვარი-აგვისტოს ჩათვლით კვალიფიციური საწარმოების მიერ შესყიდული სიმძლავრის სასისტემო რეზერვის პროცენტული წილი მათ ჯამურ მოხმარებასთან მიმართებაში.



# სიმძლავრის სასისტემო რეზერვის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმოების წილი რეზერვის მთლიან შესყიდვაში

სიმძლავრის სასისტემო რეზერვის შემსყიდველები არიან განაწილების ლიცენზიატები, პირდაპირი მომხმარებლები და ექსპორტიორები.

იმის გათვალისწინებით, რომ განაწილების ლიცენზიატები არიან ელექტროენერგიის ყველაზე მსხვილი მომხმარებლები, სიმძლავრის სასისტემო რეზერვის მთლიან შესყიდვაში სწორედ მათი მონაწილეობაა ყველაზე მაღალი.



# ესკოს მიერ შესყიდული სიმძლავრის სასისტემო რეზერვი

2010 წელს ესკო ახორციელებდა ელექტროენერგიის ექსპორტს როგორც აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, ასევე რუსეთის ფედერაციაში. ექსპორტის უზრუნველყოფის მიზნით, ამ პერიოდში ესკო ყიდულობდა სიმძლავრის სასისტემო რეზერვს.

| პერიოდი | ექსპორტი რუსეთის ფედერაციაში | | ექსპორტი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში | |
|---|---|---|---|---|
| | შესყიდული რეზერვი (კვტ.სთ) | დარიცხვა (ლარი) | შესყიდული რეზერვი (კვტ.სთ) | დარიცხვა (ლარი) |
| 01.2010-08.2010 | 4 442 134 | 162 138 | 511 631 | 18 674 |

# გარანტირებული სიმძლავრე

- „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების თანახმად, 2010 წლის 1 სექტემბრიდან ქვეყნის ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობას, უსაფრთხო და საიმედო ფუნქციონირებას ემსახურება გარანტირებული სიმძლავრე.

- გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობა ხდება მხოლოდ ესკოს მეშვეობით პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით

- გარანტირებული სიმძლავრის წყაროს და თითოეული გარანტირებული სიმძლავრის წყაროსთვის გარანტირებული სიმძლავრის მინიმალურ ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა

- თითოეული გარანტირებული სიმძლავრის წყაროსათვის გარანტირებული სიმძლავრის საფასურს ადგენს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია დღიურ ბაზისზე.

# გარანტირებული სიმძლავრის წყაროების მიერ უზრუნველყოფილ გარანტირებულ სიმძლავრეზე მიღებული თანხები, 2010 წლის სექტემბერი-დეკემბერი

| აირტურბინული ელექტროსადგური | გარდაბნის თბოელექტროსადგურის №3 ენერგობლოკი | გარდაბნის თბოელექტროსადგურის №4 ენერგობლოკი | გარდაბნის თბოელექტროსადგურის №9 ენერგობლოკი |
|---|---|---|---|
| *119 დღე* | *109 დღე* | *70 დღე* | *115 დღე* |
| *7.93 მლნ.ლარი* | *1.74 მლნ.ლარი* | *1.18 მლნ.ლარი* | *6.90 მლნ.ლარი* |

## გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველები

- გამანაწილებელი ენერგოკომპანია
- პირდაპირი მომხმარებელი
- ექსპორტიორი

- გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმო ვალდებულია აანაზღაუროს გარანტირებული სიმძლავრის საფასური გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმოების ფაქტობრივ ჯამურ მოხმარებასა და ექსპორტში მისი ფაქტობრივი მოხმარების ან ექსპორტის წილის პროპორციულად

# გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმოების წილი გარანტირებული სიმძლავრის მთლიან შესყიდვაში, 2010 წლის სექტემბერ-დეკემბრის პერიოდში



# 2010 წელს კვალიფიციური საწარმოების მიერ 1 კვტ.სთ-ზე გადახდილი გარანტირებული სიმძლავრის საფასური



# ესკოს მიერ განხორციელებული იმპორტი და ექსპორტი

- ესკომ 2010 წელს ელექტროენერგიის იმპორტი განახორციელა რუსეთის ფედერაციიდან და აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან. ესკოს მიერ განხორციელებულ იმპორტში მნიშვნელოვანი წილი რუსეთის ფედერაციასთან დამაკავშირებელ ელექტროგადამცემ ხაზებზე მოდის.

- 2010 წელს ესკოს მიერ ელექტროენერგიის ექსპორტირება მოხდა სამ მეზობელ ქვეყანაში: რუსეთის ფედერაციაში, აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და თურქეთში. იმპორტის მსგავსად, ესკოს ექსპორტის ძირითადი წილი რუსეთის ფედერაციაზე მოდის.

*მლნ. კვტ.სთ*




*მლნ. კვტ.სთ*



# ესკოს წილი იმპორტ-ექსპორტის მთლიან მოცულობაში

- 2010 წელს სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ იმპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობა შეადგენს 211.8 მლნ. კვტ.სთ-ს, რაც მთლიანად ქვეყანაში განხორციელებული იმპორტის (222.1 მლნ. კვტ.სთ) 95.4 %-ია.

- 2010 წელს ესკოს მიერ ექსპორტირებულია 120.4 მლნ. კვტ.სთ ელექტროენერგია, რაც ქვეყნიდან ფაქტიურად განხორციელებული ექსპორტის (1 524.3 მლნ. კვტ.სთ) 7.9%-ს შეადგენს.

*მლნ. კვტ.სთ*




*მლნ. კვტ.სთ*



# ესკოს სტრუქტურა 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

- ესკოში 2010 წელს დასაქმებული იყო 61 თანამშრომელი;
- ესკოს სტრუქტურა მოიცავს მენეჯმენტს – გენერალური დირექტორისა და 2 მოადგილის შემადგენლობით და 11 სტრუქტურულ ქვედანაყოფს – დეპარტამენტს;
- 3 დეპარტამენტი იმყოფება გენერალური დირექტორის უშუალო დაქვემდებარებაში;
- 4-4 დეპარტამენტი იმყოფება გენერალური დირექტორის მოადგილეების დაქვემდებარებაში.

# ესკოს სტრუქტურა



# ესკოს ფინანსური საქმიანობის მაჩვენებლები

❑ 2010 წელს ესკოს დასაბეგრმა მოგებამ 5 398 884 ლარი, ხოლო წმინდა მოგებამ – 4 669 973 ლარი შეადგინა.

❑ ესკოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილმა გადასახადმა 2010 წელს 12 465 431 ლარი შეადგინა, მათ შორის:

- *დღგ -11 901 367 ლარი;*
- *მოგების გადასახადი – 176 800 ლარი;*
- *სხვა გადასახადები – 387 264 ლარი.*



# აღრიცხვის სისტემების მონიტორინგი

- ელექტროენერგიის საანგარიშსწორებო აღრიცხვის წერტილების მონიტორინგის მიზნით, აღრიცხვის კონტროლის დეპარტამენტის აუდიტორების მიერ (დაინტერესებულ მხარეებთან ერთად) 2010 წელს განხორციელდა 2151 საანგარიშსწორებო აღრიცხვის კვანძის ინსპექტირება. ყველა მათგანზე შედგა სათანადო აქტი.

- საქართველოს მასშტაბით, განხორციელდა 47 მივლინება. აქედან, 18 მივლინება განხორციელდა კვალიფიციური საწარმოების მოთხოვნით, ხოლო 29 მივლინება კი – სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ მიერ დამტკიცებული ელექტროენერგიის საბითუმო აღრიცხვის წერტილების ინსპექტირების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

- ინსპექტირების დროს გამოვლენილ 106 სხვადასხვა ხარვეზზე, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ მიერ განხორციელდა შესაბამისი რეაგირება.

- 2010 წელს მოწესრიგდა 94 საანგარიშსწორებო აღრიცხვის კვანძი.

# WWW.ESCO.GE